

რატის წიგნი

წიგნის შესახებ

ტექსტის ტიპი:	მხატვრული
ტექსტში სიტყვების რაოდენობა:	106
კითხვის დონე:	V
ტექსტის მოკლე შინაარსი:	მხატვრული ტექსტი. ისტორია პატარა ბიჭის შესახებ, რომელსაც კითხვის დროს ჩაეძინა და სიზმარში მფრინავი თეფში ნახა.

ტექსტის მიზანი

„რატის წიგნი“ მხატვრული ტექსტია, რომელიც, მისი მცირე მოცულობის მიუხედავად, დატვირთულია გააზრების/გაგების ამოცანებით. მთავარი ამოცანა კი ტექსტში მოცემული უცაბედი ჟანრობრივი, დროითი განზომილებისა და კონტექსტური ცვლილებების აღქმაა.

სპეციფიკური ამოცანები კითხვის კომპონენტების მიხედვით:

ფონეტიკური	ლექსიკური	გრამატიკული
„ვარსკვლავები“ - სწორად გამოთქმა და დაწერა. „ჩასჭიდა“ - და არა „ჩაჭიდა“.	ინტერსივობის გამაძ-ლიერებელი სიტყვები მოსწონს - უყვარს, უფრო უყვარს, ყველაზე მეტად უყვარს... იდიომატური გამოთქმები: „ერთი სული აქვს“; გამოთქმა: „საჭეს ხელი ჩასჭიდა“.	ემოციის გამომხატველი წინადადებები და ძახილის ნიშანი.

გააზრებასთან დაკავშირებული სპეციფიკური ამოცანები

ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლები	ტექსტის სტრუქტურული ელემენტების, ნარატივის, დიალოგის სწრაფი ცვლილება, რომელიც მოსწავლს კონტექსტის გააზრებისა და ინტონაციური თავისებურებების გაგებაში უწყობს ხელს.
შინაარსობრივი მხარე	დროისა და სივრცის დინამიური ჩანაცვლება, რომელიც მოსწავლემ უნდა გაიაზროს.
ჟანრობრივი მხარე	ნარატივის, ფანტასტიკისა და ცოცხალი მოქმედების სწრაფი ცვლილება.

რესურსები:

1. წიგნი - „რატის წიგნი“ (ასლი ყოველი მოსწავლისათვის) ან კლასში კომპიუტერისა და პროექტორის ან ნეთბუკების გამოყენებით ჩვენება
2. დაფა, ცარცი.
3. ბარათები დისკუსიისათვის.
4. სამუშაო ფურცლები

საგაკვეთილო აქტივობები

I. ტექსტის წაკითხვამდე:

(ტექსტთან დაკავშირებული ცოდნისა და ინფორმაციის აქტივიზაცია)

1. ჰკითხეთ მოსწავლეებს, რომელია მათი საყვარელი წიგნი? ჩამოწერეთ დაფაზე მოსწავლეების პასუხები.

2. დაწერეთ დაფაზე სიტყვა ჟანრი და ჰკითხეთ მოსწავლეებს, თუ იციან, რას ნიშნავს ეს სიტყვა. მოსწავლეების პასუხებისგან გააკეთეთ სიტყვის რუქა.

3. ახლა ჰკითხეთ მოსწავლეებს, რომელია მათ მიერ ჩამოთვლილი და დაფაზე დაწერილი საყვარელი საკითხავი როგორია? მოუყვანეთ მაგალითები, „კარლსონი“ ზღაპარია, „80 ათასი კმ წყალქვეშ“ - ფანტასტიკაა, ხოლო „სამი მუშკეტერი“ კი ისტორიული რომანია...

4. სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩამოწერონ ახსნილი სიტყვები „სიტყვების რუკაზე“.

5. აუხსენით მოსწავლეებს, რომ მათი მთავარი ამოცანაა, გაარკვიონ, რა ჟანრის ტექსტს წაიკითხავენ ახლა.

აქტივობები უშუალოდ კითხვის დროს:

1. კითხვის საწყის ეტაპზე სასურველია, რომ ტექსტი თქვენ წაუკითხოთ მოსწავლეებს გამდიდრებული კითხვის მეთოდით, კარგად გამოკვეთილი პაუზებისა და ინტონაციების გამოყენებით.
2. წაკითხვის შემდეგ ჰკითხოთ მათ, საინტერესო იყო თუ არა ტექსტი და ხომ არ უნდათ, რომ ტექსტი თავადაც წაიკითხონ.
3. შესთავაზეთ მოსწავლეებს, ტექსტის სპექტაკლად დადგმა. გადაანაწილეთ როლები, სადაც თქვენ მთხრობელი იქნებით, ხოლო კიდევ 2 მოსწავლე კი - რატი და მამა. აუხსენით „მსახიობ“ მოსწავლეებს, ეს მხოლოდ ექსპერიმენტია და ნელ-ნელა წაკითხვით ისინი აუცილებლად მიხვდებიან, სად არის მათი „როლი“, წასაკითხი ადგილი.
4. გაიმეორეთ ამგვარი სცენა, რამდენჯერაც მოსწავლეები სურვილს გამოთქვამენ. შემდეგ ჯერზე თქვენ მაგივრად მოსწავლეები იყვნენ მთხრობელები.
5. კითხვისას, თუ მოსწავლეებს გაუჭირდებათ სიტყვის დეკოდირება ან რომელიმე ფრაზის წაკითხვას მოსალოდნელზე მეტ დროს მოანდომებენ, მთელი კლასის ჩართულობით ახსენით სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობა. ჩართეთ აქტიური მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ სურვილი, სიტყვის ცოდნა ან გაუგებარი ფრაზის მისეული ინტერპრეტაცია გაუზიარონ კლასს.

კითხვის შემდგომი აქტივობები:

ჰკითხეთ მოსწავლეებს, ხომ არ დაიღალნენ და უნდათ თუ არა, გააგრძელონ ტექსტზე მუშაობა.

აუხსენით მათ, რომ ახლა ორგანიზატორებით და სხვა დამატებითი მასალით იმუშავებთ.

1. ლექსიკა / გააზრება

სთხოვეთ მოსწავლეებს, გაიხსენონ ტექსტში მოცემული მასალა და შეავსონ ეს პატარა ორგანიზატორი:



2. განაზოგადეთ გამოყენებული ფრაზები და მოიტანეთ დამატებითი მაგალითები.

ლექსიკა 2: (იდიომატურ ფრაზაზე მუშაობა)

1. ჰკითხეთ მოსწავლეებს, როგორ იტყოდნენ, თუკი რაღაცის გაკეთება ძალიან ეჩქარებათ...

2. დაწერეთ დაფაზე გამოთქმები: „ვერ ვითქმენ“, „როგორ მეჩქარება“, „ჩქარა მინდა გავაკეთო“ და ბოლოს მიაწერეთ „ერთი სული მაქვს“.

3. დაწერეთ დაფაზე სიტყვები: არდადეგები, ახალი წელი, თამაში, ჩამოსვლა.

4. ახლა სთხოვეთ ბავშვებს, ყველამ ერთად შეადგინონ წინადადებები „ერთი სული მაქვს“ ფრაზისა და ზემოთ მოცემული სიტყვების გამოყენებით.

5. სთხოვეთ ბავშვებს, კიდევ ერთხელ გააკეთონ დასკვნა, რას ნიშნავს „ერთი სული მაქვს“.

გააზრება 1: (ჟანრობრივი გამიჯვნა)

1. სთხოვეთ მოსწავლეებს, კიდევ ერთხელ გადაავლონ თვალი ტექსტს და აღნიშნონ საკუთარ წიგნში ის ადგილი, სადაც ფანტასტიკური ამბავი იწყება. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაასათაურონ ფანტასტიკური ამბავი.

2. სთხოვეთ მოსწავლეებს, აღნიშნონ ტექსტში ის ნაწილი, სადაც ფანტასტიკური ამბავი წყდება და ასევე დაარქვათ შემდეგ ნაწილს სათაური.

საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა:

სთხოვეთ მოსწავლეებს, შეავსონ ორგანიზატორი და გაუზიარონ კლასს საკუთარი მოსაზრებები:

რა მომეწონა?	**რა არ მომეწონა?**	**როგორ დამთავრდებოდა ეს წიგნი?**

საშინაო დავალება

დაურიგეთ მოსწავლეებს „სიტყვის დაფა“, სადაც მოცეულია შემდეგი სიტყვები:

თვითმფრინავი, წყალქვეშა, გემი, სამყარო, კოსმიური, რობოტი, მიწისქვეშა, რაკეტა,ლაბორატორია, უჩინმაჩინი (სიტყვების რაოდენობა და შინაარსი დამოკიდებულია თქვენი მოსწავლეების ენობრივ გამოცდილებაზე)

სთხოვეთ მოსწავლეებს, დაწერონ 4 წინადადებით „ჩემი საყვარელი ფანტასტიკა“, სადაც ისინი ჩამოთვლილი სიტყვებიდან აირჩევენ იმათ, რომლებიც ყველაზე ახლოსაა მათ მოსაწონ ფანტასტიკურ სიუჟეტთან და სხვა, საკუთარი სიტყვების საშუალებით დაწერონ ორგანიზატორში 4-წინადადებიანი მოთხრობა: